

1. ბ

რადგან Foliage შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, ჯეინ ლიიფმა არ უნდა შეასრულოს გარიგების ხარისხის მიმომხილველის ფუნქცია სულ მცირე ორი წლის გამწავლობაში მაინც.

2. ბ

Bark & Co-მ უნდა შეაფასოს, აუდიტორული და არააუდიტორული მომსახურებიდან მიღებული ანაზღაურება შეადგენს თუ არა მთლიანი შემოსავლის 15%-ზე მეტს ზედიზედ ორი წლის განმავლობაში. თუ მიმდინარე საზღაური, სავარაუდოდ, გადააჭარბებს ფირმის წლიური შემოსავლის 15%-ს, მაშინ ხელახლა უნდა იქნეს განხილული, ფირმამ უნდა შეასრულოს თუ არა საგადასახადო და არააუდიტორული დავალებები. ამასთან, თუ ანაზღაურება 15%-ს გადააჭარბებს, მაშინ ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს Foliage Co-ს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საჭირო გახდეს Bark-ის, როგორც აუდიტორის გადადგომა.

3. ბ

ფამილიარულ ურთიერთობა მოხდება ახალ ამპლუაში მყოფ აუდიტის მენეჯერსა და აუდიტის გუნდს შორის. აუდიტის გუნდი შეიძლება მეტისმეტად მიენდოს ყოფილ კოლეგას. თავდაჯერებულობის საფრთხე შეიქმნებოდა, დამკვეთის თანამშრომელი რომ გადასულიყო აუდიტის ფირმაში სამუშაოდ და მისთვის რომ დაევალებინათ მისი ყოფილი დამქირაველის აუდიტი. ანგარების საფრთხე წარმოიქმნებოდა დაქირავების პროცესში, რადგან აუდიტის მენეჯერის განსჯაზე გავლენას მოახდენდა ფინანსურ მაკონტროლებლად დანიშვნის სურვილი. იმის გამო, რომ აუდიტის მენეჯერი უკვე დანიშნულია, ეს საფრთხე აღარ არსებობს.

4. ა

კონცეპტუალური ჩარჩო უზრუნველყოფს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლის მიზანია აუდიტორის მიერ შექმნილ გარემოებებში საუკეთესო მოქმედების კურსის შერჩევა. ეს იძლევა მოქნილობის საშუალებას ყველა შესაძლო სიტუაციაში, რაც სასარგებლოა დინამიკური გარემოს შემთხვევაში. სახელმძღვანელო პრინციპები პროფესიული მითითებებია, მაგრამ კანონს არ წარმოადგენს. კანონებში გარკვევით არის ჩამოყალიბებული, რა არის მისაღები და რა არის მიუღებელი კონკრეტულ გარემოებებში.

5. დ

პროფესიული სკეპტიციზმი, პროფესიული განსჯა და დამოუკიდებლობა აუდიტორისთვის მნიშვნელოვანი მახასიათებლებია, მაგრამ ისინი ეთიკის ფუნდამენტური პრინციპები არ არის.

6. ბ

დებიტორული დავალიანების ხანგრძლივობა, დღე	34.9	(121/1267) × 365
კრედიტორული დავალიანების ხანგრძლივობა, დღე	31.5	(87.5/1013) × 365
სწრაფი კოეფიციენტი	2.8	(121 + 123)/87.5

7. ბ

ამონაგების დროში გამიჯვნის რისკი იზრდება, როდესაც თანამშრომლებიც ცდილობენ მიმდინარე წლის ბონუსის მაქსიმიზაციას. ამოუღებელი ვალების გამო, მოგების შემცირების რისკი ბიზნესრისკია. უფრო სავარაუდოა, რომ ამონაგები ზედმეტად იქნება შეფასებული მაღალი ბონუსის მისაღებად. ბონუსს გავლენა არ ექნება მომხმარებლების მიერ პირდაპირი დადსტურების ტესტის მოთხოვნაზე პასუხების გაცემაზე.

8. ა

დროში გამიჯვნის ტესტები ვერ უზრუნველყოფს შესაფერის მტკიცებულებას, ამოუღებელი ვალების გაზრდილი რისკით გამოწვეულ პოტენციურ შეფასების პრობლემასთან დაკავშირებით.

9. ა

1-ლი განცხადება ეხება ანალიზური პროცედურების გამოყენებას საბოლოო მიმოხილვის ან აუდიტის დასრულების ეტაპზე. მე-2 განცხადება ეხება ანალიზური პროცედურების გამოყენებას არსებითი მტკიცებულების მოსაპოვებლად აუდიტის ადგილზე მუშაობის ეტაპზე.

10. დ

აუდიტის ახალი დამკვეთი ნიშნავს შეუმჩნეველობის რისკის გაზრდას. აუდიტორად დანიშვნაზე დათანხმებამდე განხილული უნდა ყოფილიყო კომპეტენცია. არაპროფესიონალურია აუდიტორად დანიშვნაზე დათანხმებიდან მალევე გადადგომა. აუდიტური ფირმა ყოფილ აუდიტორს უნდა დაკავშირებოდა აუდიტორად დანიშვნაზე დათანხმებამდე, რათა გამოეკითხა იმ პროფესიული საკითხების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს ამ გადაწყვეტილებაზე. გაზრდილი შეუმჩნეველობის რისკის გამო, გაზრდილი აუდიტორული რისკი გამოიწვევს ხარისხის კონტროლის პროცედურების გაზრდას, როგორცაა, მაგალითად გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის საჭიროება.

11. დ

დროში გამიჯვნის რწმუნება გულისხმობს ოპერაციების სწორ სააღრიცხვო პერიოდში აღრიცხვას. ამ შემთხვევაში, ხელფასის დანახარჯი ასახავს სახელფასო ოპერაციებს მოცემული პერიოდისთვის, 20X6 წლის 31 ოქტომბრამდე. ვარიანტები A, B და C დაკავშირებულია კლასიფიკაციის, სისწორის და სისრულის რწმუნებებთან.

12. ბ

ყველაზე საიმედო მტკიცებულება იქნება აუდიტის გუნდის წევრის მიერ შესრულებული სამუშაო, რადგან აუდიტორის მიერ წარმოქმნილი მტკიცებულება ყველაზე საიმედოა. ზეპირი დასტური მტკიცებულების ყველაზე ნაკლებად საიმედო ფორმაა, რადგან შეიძლება მის შესახებ კამათი ან მისი უკან წაღება. ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია არის მტკიცებულების რიგით შემდეგი ყველაზე ნაკლებად საიმედო ფორმა, რადგან ის დამკვეთის მიერ არის შექმნილი.

13. ა

გასული წლის ხარჯი: \$17,000,000

თანამშრომელთა რაოდენობა 500-დან 450-მდე, 10%-ით შემცირდა. შემცირების გავლენა: $\$17,000,000 \times 90\% = \$15,300,000$.

ხელფასის მომატების გავლენა: $(\$15,300,000 \times 2/12) + (\$15,300,000 \times 106/100 \times 10/12) = \$16,065,000$ Effect of bonus: $\$16,065,000 + (450 \times \$1,500) = \$16,740,000$.

საპირისპიროდ, შესაძლებელია გამოთვლის შემდგენიარად შესრულება:

გასული წლის ხელფასი, შესწორებული შემცირების გასათვალისწინებლად	= $\$17m \times 0.9$	= $\$15.3m$
შესწორება დარჩენილი თანამშრომლების ხელფასის მომატებისთვის	= $\$15.3m \times 6\% \times 10/12$	= $\$0.765m$
ბონუსის გათვალისწინება	= $1,500 \times \$450$	= $\$0.675m$
სულ		= $\$16.74m$

14. გ

ანალიზური პროცედურებით ფასდება ტენდენციები და მონაცემებს შორის ურთიერთკავშირი. აუდიტორმა უნდა გამოიკვლიოს ნებისმიერი უჩვეულო ურთიერთკავშირი, რომელიც არ შეესაბამება მოლოდინს, რადგან ეს შეიძლება უზუსტობაზე მიუთითებდეს. ორივე, გასულ წელთან შედარება და განსხვავებების გამოკვლევა და მთლიანი ჯამის გამოთვლის შემოწმება, ძირითადი ანალიზური პროცედურების მაგალითებია. ხელახლა გამოთვლა უბრალოდ არითმეტიკული შემოწმებაა. ხელფასის სისტემაში ასახული ხელფასის ხარჯის შედარება ფინანსური ანგარიშგების პროექტში ასახულთან ნიშნავს დათვალეობას.

15. გ.

	სისწორე	სისრულე	მოხდენა
განახორციელეთ წლის დასრულების შემდგომი დაბრუნების შერჩევითი ერთობლიობისადმი მიდგომის მიმოხილვა.			✓
შეარჩიეთ გაგზავნილი სასაქონლო ზედნადებების შერჩევითი ერთობლიობა და შეადარეთ ყოველდღიური გაყიდვების წიგნს.		✓	
ყოველდღიური გაყიდვების წიგნიდან შეარჩიეთ ანგარიშ-ფაქტურების შერჩევითი ერთობლიობა და შეადარეთ გაგზავნილ სასაქონლო ზედნადებებს.			✓
შეარჩიეთ ანგარიშ-ფაქტურების შერჩევითი ერთობლიობა, ხელახლა გამოითვალეთ ანგარიშ-ფაქტურის თანხა, შეადარეთ ფასების სიას.	✓		

მოხდენის რწმუნება ნიშნავს, რომ ოპერაციები მოხდა და დაკავშირებულია საწარმოსთან, ანუ გაყიდვა ნამდვილად ამ ბიზნესის ოპერაციაა. წლის დასრულების შემდგომი უკან დაბრუნებები ნიშნავს, რომ ოპერაცია სინამდვილეში არ მომხდარა და გაყიდვებიდან უნდა იქნეს ამოღებული. სააღრიცხვო ჩანაწერების გარეშე მუხლების შერჩევა და მათი ჩანაწერებში მიკვლევა არის სისრულის ტესტი. ანგარიშ-ფაქტურების ხელახლა გამოთვლა და ფასების დადასტურება აუდიტორს სისწორის ტესტირების საშუალებას აძლევს.

16. (ა) დამცავი ზომები ინტერესთა კონფლიქტისთვის

- ორივეს, Comet Publishing Co-ს და მის კონკურენტს, Edmond Co-ს უნდა ეცნობოს, რომ Halley & Co იქნება ორივე კომპანიის აუდიტორი და, საჭიროების შემთხვევაში, თანხმობა უნდა იქნეს მიღებული ორივე მათგანისგან;
- ერთ-ერთი ან ორივე დამკვეთისთვის რჩევის მიცემა, რომ მოძებნონ დამატებითი დამოუკიდებელი რჩევა;
- გარიგების ცალ-ცალკე გუნდების გამოყენება, სხვადასხვა გარიგების პარტნიორებით და გუნდის წევრებით; თუ თანამშრომელს ნამუშევარი აქვს ერთ აუდიტზე, მაგალითად Comet Publishing Co-ს აუდიტზე, მაშინ მათ არ უნდა მიეცეთ კონკურენტის აუდიტზე მუშაობის უფლება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში;
- განახორციელოთ პროცედურები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრევენციისთვის, მაგალითად ორივე გუნდის მკაცრი ფიზიკური განცალკევება, მონაცემების კონფიდენციალური და უსაფრთხო შენახვა;
- გარიგების თითოეული გუნდის წევრს მიაწოდეთ გარკვევით ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო მითითებები უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის საკითხებზე. ეს სახელმძღვანელო მითითებები შეიძლება დაერთოს გარიგების წერილებს;
- გამოიყენეთ კონფიდენციალურობის შეთანხმებები, რომლებსაც ხელს ფირმის თანამშრომლები და პარტნიორები მოაწერენ;
- Halley & Co-ს უფროსმა თანამშრომელმა, რომელიც არც ერთ აუდიტში არ მონაწილეობს, უნდა განახორციელოს ზემოაღნიშნული დამცავი ზომების რეგულარული მონიტორინგი.

(ბ) ეტაპები გასული წლის დიაგრამებისა და სისტემის აღწერის დასადასტურებლად

- გასული წლის აუდიტიდან მოიპოვეთ სისტემის აღწერა და დარწმუნდით, რომ შესყიდვების და კრედიტორული დავალიანებების სისტემა მოიცავს ყველა ეტაპს და სრულია;
- განახორციელოთ აუდიტის ფაილის მოძიება სისტემის ნაკლოვანების მინიშნებისათვის და ისინი მოინიშნეთ მიმდინარე წელს გამოსაკვლევად;
- განიხილეთ გასული წლის ანგარიში ხელმძღვანელობისათვის, რათა გამოავლინოთ ყველა რეკომენდაცია, რომელიც გაცემულია ამ სფეროში ცონტროლ-

თან დაკავშირებით, რადგან აღნიშნულმა შეიძლება გამოავლინოს მიმდინარე წელს განხორციელებული ცვლილებები;

- დამკვეთისგან მოიპოვეთ სისტემის დოკუმენტაცია, სავარაუდოდ, პროცედურების სახელმძღვანელოს სახით. განხორციელეთ მისი მომოხილვა, რათა გამოავლინოთ გასული 12 თვის განმავლობაში შეტანილი ცვლილებები;
- გაესაუბრეთ დამკვეთის თანამშრომლებს, რათა დაადგინოთ, შეიცვალა თუ არა სისტემები და კონტროლის მექანიზმები, მათ შორის მაღაზიებისა და საწყობის, რათა დარწმუნდეთ, რომ გასულ წელს მომზადებული დიაგრამები და აღწერა სწორია;
- განხორციელეთ ტესტირება საკონტროლო შემოვლის გზით შესყიდვებისა და კრედიტორული დავალიანებების სისტემის ოპერაციების შერჩევითი ერთობლიობის მიკვლევით, რათა დარწმუნდეთ, რომ აუდიტის ფაილში არსებული დიაგრამები და სისტემების აღწერა სწორია;
- საკონტროლო შემოვლის ტესტების განხორციელებისას დაადასტურეთ, რომ სისტემების აღწერა და დიაგრამები სწორად ასახავს დანერგილ კონტროლის პროცედურებს და შესაძლებელია მათი გამოყენება ტესტირებისთვის, კონტროლის მექანიზმების გამოსავლენად.

(გ) კონტროლის ნაკლოვანებები, რეკომენდაციები და კონტროლის ტესტები.

კონტროლის ნაკლოვანება	კონტროლის რეკომენდაცია	კონტროლის ტესტი
<p>მაღაზიას არ შეუძლია მომხმარებლისთვის საქონლის სხვა მაღაზიაში შეკვეთა. სანაცვლოდ, მომხმარებლებს ეუბნებიან, რომ დაუკავშირდნენ სხვა მაღაზიებს ან გამოიყენონ კომპანიის ვებგვერდი.</p> <p>ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომხმარებლები თვითონ დაუკავშირდნენ ცალკეულ მაღაზიებს, რასაც შეუძლია კომპანიის გაყიდვების შემცირება.</p> <p>ამასთან, ზოგიერთი საქონელი, რომელიც ნელა იყიდება ერთ მაღაზიაში, შეიძლება არ იყოს სხვა მაღაზიის მარაგში; თუ შესაძლებელი იქნება საქონლის მაღაზიებს შორის გადატა-</p>	<p>საჭიროა ფილიალებს შორის სატრანსფერო სისტემის შექმნა, მაღაზიების მიერ მარაგის ფორმების შევსება მაღაზიებს შორის მარაგის ტრანსფერებისთვის.</p> <p>ეს დაეხმარება მაღაზიებს, რომელთა მარაგის დონეები მცირეა, მაგრამ მომწოდებლებისგან ელოდებიან მოწოდებას.</p>	<p>შუალედური აუდიტის დროს ესტუმრეთ რამდენიმე მაღაზიას, მაღაზიის მენეჯერთან განიხილეთ საქონლის შეკვეთის პროცესი, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა სხვა ფილიალებში შეკვეთა.</p> <p>თითოეულ მაღაზიაში შეამოწმეთ ფილიალებს შორის მარაგის გადატანის ფორმები, რათა დაადასტუროთ, რომ კონტროლის მექანიზმი მუშაობს.</p>

კონტროლის ნაკლოვანება	კონტროლის რეკომენდაცია	კონტროლის ტესტი
<p>ნა, მაშინ შესაძლებელია საერთო გაყიდვების მაქსიმიზაცია.</p>		
<p>\$1,000-ზე ნაკლები ღირებულების შესყიდვის შეკვეთების ავტორიზაცია არ ხდება და მათი დამუშავება ხდება მხოლოდ შესყიდვების კლერკის მიერ, ვინც პასუხისმგებელია ანგარიშფაქტურის დამუშავებაზე. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს სამეურნეო საქმიანობასთან დაუკავშირებელი შესყიდვები და გაიზარდოს თაღლითობის რისკი, რადგან კლერკს შეუძლია \$1,000-მდე ღირებულების პირადი საქონლის შეკვეთის განთავსება, რაც მნიშვნელოვანი თანხაა.</p>	<p>საჭიროა შესყიდვის ყველა შეკვეთის ავტორიზაცია პასუხისმგებელი პირის მიერ. საჭიროა ავტორიზაციის უფლების გამცემი პირების დადგენა სხვადასხვა ოდენობით შესყიდვის ავტორიზაციისთვის.</p>	<p>შეარჩიეთ შესყიდვის შეკვეთების შერჩევითი ერთობლიობა და განახორციელეთ მისი მიმოხილვა ავტორიზაციის მტკიცებულებისთვის, ხელმოწერა შეადარეთ ხელმოწერების სიაში სათანადო ხელმოწერას.</p>
<p>მიღებული სასაქონლო ზედნადებები ბუღალტერიას ეგზავნება ორ კვირაში ერთხელ. აღნიშნულმა შეიძლება მომწოდებლებისთვის დაგვიანებით გადახდა და აღრიცხული ვალდებულებების ნაკლებად შეფასება გამოიწვიოს. ამასთან, მომწოდებლების მიერ სწრაფად გადახდისთვის შემოთავაზებული ფასდაკლება შეიძლება დაიკარგოს, გადახდების შეფერხების გამო.</p>	<p>მიღებული სასაქონლო ზედნადებების ასლები ბუღალტერიაში უფრო ხშირად უნდა გაიგზავნოს, მაგალითად ყოველდღიურად. ბუღალტერიამ უნდა განახორციელოს მიღებული სასაქონლო ზედნადებების თანმიმდევრობის შემოწმება, რათა დარწმუნდეს, რომ არც ერთი მათგანი არ აკლია.</p>	<p>ბუღალტერიის კლერკი გამოკითხეთ იმის თაობაზე, თუ რა სინშირით იღებენ მიღებულ სასაქონლო ზედნადებებს, რათა შეაფასოთ, სწრაფად იგზავნება თუ არა ისინი. განახორციელეთ ბუღალტერიაში არსებული მიღებული სასაქონლო ზედნადებების თანმიმდევრობის შემოწმება და ბუღალტერიის კლერკთან განიხილეთ, აკლია თუ არა რომელიმე მათგანი.</p>
<p>მიღებული სასაქონლო ზედნადებები მხოლოდ</p>	<p>საჭიროა მიღებული სასაქონლო</p>	<p>განახორციელეთ შესყიდვების შეკვეთის</p>

კონტროლის ნაკლოვანება	კონტროლის რეკომენდაცია	კონტროლის ტესტი
<p>ბუღალტერიაში იგზავნება. ასლის შემკვეთ დეპარტამენტში არგავზავნამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსრულებელი შეკვეთების მნიშვნელოვანი დონე, რაც განაპირობებს გაყიდვების დაკარგვას და მარაგის ამოწურვას.</p>	<p>ზედნადებების სამი ეგზემპლარი, ერთი ასლი შესყიდვების შემკვეთ კლერკს, ოლივერ დენსერს უნდა გაეგზავნოს, რომელიც მათ შეადარებს შეკვეთას და შეკვეთის სტატუსს შეცვლის დასრულებულზე. მან რეგულარულად უნდა განიხილოს ყველა შეუსრულებელი შეკვეთა და შესაბამის მომწოდებელს დაუკავშირდეს.</p>	<p>კლერკის, ოლივერ დენსერის მიერ ფლობილი მიღებული სასაქონლო ზედნადებების ასლების ფაილის მიმოხილვა მტკიცებულებისთვის, ისინი შეესაბამება შეკვეთებს და მინიშნებულა, რომ დასრულებულია. განახორციელეთ შეუსრულებელი შესყიდვის შეკვეთების ფაილის მიმოხილვა ვადაგადაცილებული მუხლებისთვის და სტატუსი განიხილეთ ოლივერ დენსერთან.</p>
<p>შესყიდვების შეკვეთის კლერკი, ოლივერ დენსერი, პასუხისმგებელია \$1,000-ზე ნაკლები ღირებულების საქონლის შეკვეთაზე და ყველა შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურის დამუშავებაზე გადასახდელად.</p> <p>ეს გახლავთ მოვალეობების დაუნაწილებლობა, რაც ზრდის თაღლითობისა და სამეურნეო საქმიანობასთან დაუკავშირებელი შესყიდვების განხორციელების რისკს.</p>	<p>შესყიდვების შეკვეთა და დაკავშირებული მომწოდებლის ანგარიშ-ფაქტურების დამუშავება სხვადასხვა თანამშრომელმა უნდა შეასრულოს.</p>	<p>დააკვირდით, რომელი თანამშრომელი ამუშავებს ანგარიშ-ფაქტურებს და დაადასტურეთ, რომ ეს არ არის შესყიდვების შემკვეთი კლერკი, ოლივერ დენსერი.</p> <p>შეამოწმეთ კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის ასლი და განსაზღვრეთ, ეს დავალებები სხვადასხვა პირებზე არის თუ არა გადანაწილებული.</p>
<p>ფინანსური ღირეპტორი ახორციელებს საბანკო გადახდების სიის ავტორიზაციას; თუმცა, ის განსახორციელებელი გადახდების მხოლოდ ჯამურ თანხას ნახულობს.</p>	<p>ფინანსურმა ღირეპტორმა გადახდების სია სრულად უნდა განიხილოს ავტორიზაციის გაცემამდე.</p> <p>ამისათვის, მან თანხები უნდა შეადაროს პირვე-</p>	<p>განახორციელეთ გადახდების სიის მიმოხილვა ფინანსური ღირეპტორის მიერ განხილვის მტკიცებულებისთვის.</p> <p>ბუღალტერიის</p>

კონტროლის ნაკლოვანება	კონტროლის რეკომენდაცია	კონტროლის ტესტი
გადახდების სიის და ასევე პირველადი დოკუმენტაციის დეტალურად ნახვის გარეშე, არსებობს რისკი, რომ მომწოდებლებს შეიძლება არასწორი თანხა გადაუხადონ, ან თანხა შეიძლება ფიქტიურ მომწოდებლებს გადაუხადონ.	ლად დოკუმენტაციას და ასევე განიხილოს მომწოდებლის დასახელებები, რათა გამოავლინოს დუბლირება ან უცნობი დასახელები. მან მიმოხილვის ჩატარება უნდა დაადასტუროს საბანკო გადარიცხვების სიაზე ხელმოწერით.	თანამშრომლები გამოკითხეთ, თუ რა პირველად დოკუმენტებს ითხოვს ფინანსური დირექტორი აღნიშნული მიმოხილვის შესასრულებლად.
მომწოდებლის ამონაწერთან შეჯერებები აღარ ხორციელდება. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს შესყიდვების და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვაში დაშვებული შეცდომების დროულად ვერგამოვლენა.	მომწოდებლის ამონაწერთან შეჯერებები ყოველთვიურად უნდა განხორციელდეს ყველა მომწოდებლისთვის და ისინი პასუხისმგებელმა პირმა უნდა განიხილოს.	განიხილეთ შეჯერებების ფაილი, რათა დარწმუნდეთ რომ შეჯერებები რეგულარულად ხორციელდება და მათ პასუხისმგებელი პირი განიხილავს. შეჯერება ხელახლა შეასრულეთ შეჯერებების შერჩევითი ერთობლიობისთვის, რათა დარწმუნდეთ, რომ შეჯერებები სათანადოდ განხორციელდა.

(დ) ძირითადი პროცედურები შესყიდვებისა და სხვა ხარჯებისთვის

- გამოითვალეთ საოპერაციო მოგება და მთლიანი მოგების მარჟა და ისინი შეადარეთ გასული წლის მაჩვენებლებს და ბიუჯეტს, გამოიკვლიეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსხვავება.
- განხორციელეთ ყოველთვიური შესყიდვებისა და სხვა ხარჯების მიმოხილვა, რათა გამოავლინოთ ნებისმიერი ცვალებადობა და საკითხი ხელმძღვანელობასთან განიხილეთ.
- ხელმძღვანელობასთან განიხილეთ მოხდა თუ არა ძირითადი მომწოდებლების ცვლილება და პასუხი შეადარეთ შესყიდვების საბუღალტრო წიგნს, რათა შეაფასოთ შესყიდვების სისრულე და სისწორე.
- გამოითვალეთ ანგარიშ-ფაქტურების შერჩევითი ერთობლიობის ჯამები და დაკავშირებული გადასახადები, რათა დარწმუნდეთ, რომ ხარჯები სათანადო ნომინალური კოდით აისახა.

- ხელახლა გამოითვალეთ წლის ბოლოს დარიცხული გადახდილი ავანსები და დარიცხვები, რათა დარწმუნდეთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახული ხარჯების სისწორეში.
- შეარჩიეთ წლის დასრულების შემდგომი ხარჯების ანგარიშ-ფაქტურების შერჩევითი ერთობლიობა და დარწმუნდით, რომ ასახულია მიმდინარე წლთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.
- სალაროს წიგნიდან შეარჩიეთ გადახდების შერჩევითი ერთობლიობა და მათ მიაკვლიეთ ხარჯების ანგარიშში, რათა დარწმუნდეთ, რომ ხარჯები სწორადაა ასახული და კლასიფიცირებული.
- შეარჩიეთ წლის განმავლობაში მიღებული სასაქონლო ზედნაღებების შერჩევითი ერთობლიობა; ისინი შეადარეთ შესყიდვების ანგარიშ-ფაქტურებს და შესყიდვების ყოველდღიურ წიგნს, რათა დარწმუნდეთ შესყიდვების სისრულეში.
- შეარჩიეთ წლის დასასრულის ზუსტად წინ და შემდეგ მიღებული სასაქონლო ზედნაღებების შერჩევითი ერთობლიობა; ისინი შეადარეთ შესყიდვების ყოველდღიურ წიგნს, რათა დარწმუნდეთ, რომ ხარჯები სწორ სააღრიცხვო პერიოდშია აღრიცხული.

17. (ა) (i) ქმედებები Cinnamon-ის აუდიტორად დანიშვნაზე დათანხმებამდე დამოუკიდებლობა

Salt & Pepper-მა უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი პრობლემა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას და რომელსაც შეუძლია საფრთხის ქვეშ დააყენოს ACCA-ის ეთიკისა და ქცევის კოდექსთან ან ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი არსებულ დამკვეთებთან. პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, საჭიროა მათი მნიშვნელობის გათვალისწინება.

კომპეტენტურობა

ამასთან, მათ უნდა გაითვალისწინონ, გააჩნიათ თუ არა საკმარისი კომპეტენცია სამუშაოს შესასრულებლად, აქვთ თუ არა სათანადო ხელმისაწვდომი რესურსები, ისევე როგორც სპეციფიკური უნარი და ცოდნა, რაც საჭიროა Cinnamon-ის აუდიტისთვის.

ხელმძღვანელობის პატიოსნება

Salt & Pepper-მა უნდა გაითვალისწინოს ის, რაც მათთვის უკვე ცნობილია Cinnamon-ის შესახებ. მათ უნდა გაითვალისწინონ დირექტორების რეპუტაცია და პატიოსნება. საჭიროების შემთხვევაში, ფირმამ შეიძლება მოიპოვოს რეკომენდაციები, თუ ისინი მანამდე ოფიციალურად არ იცნობდნენ დირექტორებს.

რისკის დონე

ამასთან, Salt & Pepper-მა უნდა გაითვალისწინოს Cinnamon-ის აუდიტთან დაკავშირებული რისკი და ფირმისთვის მისაღებია თუ არა ეს რისკი. აღნიშნულის ფარგლებში მათ უნდა გაითვალისწინონ, მოსალოდნელი აუდიტის საზღაური Cinnamon-ის აუდიტის რისკის ადეკვატურია თუ არა.

კომუნიკაცია წინამორბედ აუდიტორებთან

Salt & Pepper უნდა დაუკავშირდეს Cinnamon-ის ყოფილ აუდიტორებს, რათა შეაფასოს, არსებობს თუ არა რაიმე ეთიკური ან პროფესიული მიზეზი, რის გამოც ისინი არ უნდა დათანხმდნენ აუდიტორად დანიშვნაზე. მათ Cinnamon-ის ხელმძღვანელობისგან უნდა მიიღონ არსებულ აუდიტორთან დაკავშირების ნებართვა. ნებართვის ვერმიღების შემთხვევაში, გარიგებაზე უარი უნდა განაცხადონ.

პასუხის გაცემის ნებართვის მიღების შემთხვევაში, აღნიშნულმა აუდიტორებმა უნდა უპასუხონ Salt & Pepper-ს, რომელმაც გულდასმით უნდა განიხილოს მათი პასუხი ნებისმიერი პრობლემის წარმოსაჩენად, რომელსაც შეუძლია აუდიტორად დანიშვნაზე დათანხმებაზე გავლენის მოხდენა.

(ii) აუდიტის წინაპირობა

Salt & Pepper-მა იმისათვის, რომ შეაფასოს აუდიტის წინაპირობები არსებობს თუ არა, უნდა განსაზღვროს მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები, რომელიც გამოყენებული იქნება Cinnamon-ის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ამისათვის აუდიტორმა უნდა შეაფასოს საწარმოს ხასიათი, ფინანსური ანგარიშგების ხასიათი და დანიშნულება და კანონით ან მარეგულირებელი ნორმებით ხომ არ არის წინასწარგანსაზღვრული შესაბამისი ანგარიშგების საფუძვლები.

ამასთან, მათ Cinnamon-ის ხელმძღვანელობასთან უნდა მიაღწიონ შეთანხმებას, რომ ისინი აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას შემდეგ საკითხებზე:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადება, შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლების შესაბამისად, მათ შორის სამართლიანი წარდგენა, საჭიროების შემთხვევაში;
- ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას;
- Salt & Pepper-თვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის საჭირო ყველა შესაფერისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის, რომელიც აუდიტორმა შეიძლება მოითხოვოს ხელმძღვანელობისგან და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა Cinnamon-ის იმ თანამშრომლების, რომელთაგან აუდიტორული მტკიცებულების მოპოვებას აუცილებლად მიიჩნევს აუდიტორი.

თუ აუდიტის წინაპირობები არ არსებობს, მაშინ Salt & Pepper-მა ეს საკითხი Cinnamon-ის ხელმძღვანელობასთან უნდა განიხილოს.

თუ კანონით ან მარეგულირებელი ნორმებით არ მოითხოვება, აუდიტორი არ უნდა დათანხმდეს შემოთავაზებულ გარიგებაზე:

- თუ აუდიტორი განსაზღვრავს, რომ მიუღებელია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები, რომელიც გამოყენებული იქნება ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად; ან
- თუ ხელმძღვანელობასთან ვერ მიიღწევა შეთანხმება, მათი პასუხისმგებლობების შესახებ.

(ბ) საკითხები, რომლებიც უნდა აისახოს აუდიტორული გარიგების წერილში

- აუდიტის მიზანი და მასშტაბი;
- აუდიტორის პასუხისმგებლობა;
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა;
- ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად შესაფერისი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების დადგენა;
- იმ ანგარიშების სავარაუდო ფორმისა და შინაარსის მითითება, რომელიც უნდა გასცეს აუდიტორმა;
- აუდიტის მასშტაბის დეტალურად აღწერა კანონმდებლობასთან მინიშნებით;
- აუდიტორული გარიგების შედეგების ნებისმიერი სხვა სახით კომუნიკაციის ფორმა;
- ფაქტი, რომ გარკვეული არსებითი უზუსტობები შეიძლება ვერ გამოვლინდეს;
- შეთანხმებები აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების თაობაზე, მათ შორის აუდიტის გუნდის შემადგენლობა;
- მოლოდინი, რომ ხელმძღვანელობა წარმოადგენს ოფიციალურ ინფორმაციას;
- საზღაურის გამოთვლის საფუძველისა და ინვოისის თაობაზე შეთანხმებები;
- მოთხოვნა, ხელმძღვანელობის მიერ აუდიტორული გარიგების წერილის მიღების დადასტურებისა და გარიგების პირობებზე დათანხმების თაობაზე;
- შეთანხმებები, შიდა აუდიტორებისა და საწარმოს სხვა თანამშრომლების ჩართვის შესახებ;
- ნებისმიერი მოვალეობა, სამუშაო დოკუმენტების სხვა მხარეებისათვის მიწოდების თაობაზე;
- აუდიტორის ვალდებულების შეზღუდვები;
- შეთანხმებები, ფინანსური ანგარიშგების პროექტისა და ნებისმიერი სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ.

(გ) ხარისხის კონტროლი

- აუდიტის გუნდს სათანადო ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, რათა მათ შეძლონ დამკვეთის შესწავლა თავიანთი სამუშაოს დაწყებამდე;

- საჭიროა უმცროსი აუდიტორების ადეკვატური ზედამხედველობა უფროსი აუდიტორის მიერ, რათა მათ მიმართონ მას კითხვების შემთხვევაში;
- ამასთან, ზედამხედველობა უზრუნველყოფს აუდიტის მიმდინარეობაზე თვალ-ყურის მიდევნებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემჭიდროებული ანგარიშების ვადების დაცვა;
- უფრო მეტი აუდიტის თანამშრომელი უნდა განაწილდეს ამ გუნდში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი დრო აუდიტის სამუშაოს შესასრულებლად, ნაჩქარევად მუშაობის გარეშე. სამუშაოს ნაჩქარევად შესრულების შემთხვევაში, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ არ გამოვლინდება უზუსტობები;
- შესრულებული სამუშაოს მიმოხილვები უფრო ხშირად უნდა შესრულდეს, რათა სწრაფად გამოვლინდეს პრობლემები, რათა ეს საკითხები დაისვას დამკვეთის წინაშე და სწრაფად გადაიჭრას;
- შეიძლება გამოიყოს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველი, რადგან გარიგება მიიჩნევა მაღალი რისკის მქონე გარიგებად.

(დ) ეთიკური რისკები და დამცავი ზომები ამ რისკების შესამცირებლად

ეთიკური რისკები	დამცავი ზომები რისკების შემცირებისთვის
<p>Salt & Pepper აპირებს უმცროსი თანამშრომლების გამოყენებას ახალი დამკვეთის, Cinnamon-ის აუდიტისთვის, რადგან აუდიტი ტარდება იმ დროს, როდესაც ფირმა ძალიან დაკავებულია.</p> <p>რადგან ახალი გარიგებაა, Salt & Pepper-ს მწირი ინფორმაცია აქვს აუდიტთან დაკავშირებულ რისკებზე. უმცროს თანამშრომლებს თუ გამოიყენებენ, ისინი არ იქნებიან საკმარისად კომპეტენტურები, რათა შეაფასონ, ადეკვატური სამუშაო შეასრულეს თუ არა.</p> <p>ეს ზრდის არასწორი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმის რისკს.</p>	<p>Salt & Pepper-მა უნდა განიხილოს Cinnamon-ის აუდიტის გუნდის შემადგენლობა და გაზარდოს გამოცდილი გუნდის წევრების რაოდენობა. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მათ Cinnamon-ის დირექტორებთან უნდა განიხილონ აუდიტის დასრულების ვადის გადაწევა იმ დროისთვის, როდესაც მათ უფრო ადეკვატური რესურსი ექნებათ.</p>
<p>Salt & Pepper არ დაუკავშირდა Cinnamon-ის ყოფილ აუდიტორებს.</p>	<p>Salt & Pepper უნდა დაუკავშირდეს ყოფილ აუდიტორებს, რათა</p>

ეთიკური რისკები	დამცავი ზომები რისკების შემცირებისთვის
<p>ყოფილ აუდიტორებთან დაკავშირება მნიშვნელოვანია, რადგან ფირმამ უნდა გაიგოს, რატომ შეცვალა Cinnamon-მა აუდიტორები. ისინი შეიძლება არაეთიკურად იქცეოდნენ და ამიტომ მათმა ყოფილმა აუდიტორებმა უარი თქვეს გაგრძელებაზე.</p> <p>ამასთან, პროფესიული თავაზიანობა მოითხოვს ყოფილ აუდიტორებთან დაკავშირებას.</p>	<p>გამოავლინოს, არსებობს თუ არა რაიმე ეთიკური პრობლემა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათ მიერ Cinnamon-ის აუდიტორად დანიშვნაზე უარის თქმა.</p>
<p>ფირმა არ ახორციელებს გარიგების წერილების განახლებას არსებული დამკვეთებისათვის იმის გამო, რომ ისინი ყოველწლიურად მნიშვნელოვნად არ იცვლება.</p> <p>გარიგების წერილები მაინც უნდა განიხილოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ისინი კვლავ შესაფერისი და განახლებულია.</p> <p>შეიძლება დამკვეთთან წარმოიქმნას უთანხმოება, რომლის გადაჭრა ადვილი არ იქნება.</p>	<p>Salt & Pepper –მა ყოველწლიურად უნდა განიხილოს გარიგების წერილების გადასინჯვის საჭიროება.</p>
<p>Salt & Pepper-ს ერთ-ერთმა არსებულმა დამკვეთმა შესთავაზა აუდიტის საზღაურის განსაზღვრა, დამკვეთის საბოლოო დაბეგვრამდე მოგების პროცენტის სახით.</p> <p>ეს პირობითი საზღაურია და აკრძალულია, რადგან წარმოქმნის ანგარების საფრთხეს, რომლის აღეკვატურ დონემდე შემცირება შეუძლებელია.</p> <p>ფირმამ შეიძლება უგულებელყოს უზუსტობები, რომელთა შესწორების შემთხვევაში შემცირდება მოგება და, შესაბამისად, აუდიტის საზღაური.</p>	<p>Salt & Pepper-მა თავაზიანად უნდა თქვას უარი საზღაურის თაობასთან დაკავშირებით შემოთავაზებულ შეთანხმებაზე, რადგან ამით დაირღვევა ACCA-ის <i>ეთიკისა და ქცევის კოდექსი</i>. სანაცვლოდ, მათ უნდა აცნობონ დამკვეთს, რომ საზღაური დაეფუძნება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად შესასრულებელ სამუშაოს მოცულობას.</p>

18. (ა) აუდიტორის ანგარიშის ელემენტები

სათაური – აუდიტორის ანგარიშის სათაურიდან გარკვევით უნდა ჩანდეს, რომ ეს არის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რაც მას სხვა ანგარიშებისგან განასხვავებს.

აღრესატი – აუდიტორის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს აღრესატი, რომელიც განსაზღვრული იქნება გარიგების გარემოებებით, ან კანონით ან მარეგულირებელი ნორმებით, თუმცა, როგორც წესი, ეს გახლავთ აქციონერები. ეს მიანიშნებს, თუ ვის შეუძლია გამოთქმულ მოსაზრებაზე დაყრდნობა და ვის არა (მაგალითად მესამე მხარეებს).

მოსაზრების აბზაცი – არამოდულიცირებული მოსაზრების გამოთქმისას აუდიტორის მოსაზრებაში ნათქვამი უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება „სამართლიანად ასახავს“ ან „უტყარად და სამართლიანად ასახავს“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. ამ აბზაცში დეტალურად უნდა აიხსნას არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება უტყუარი და სამართლიანი.

მოსაზრების საფუძველი – აღწერილია პროფესიული სტანდარტები, რომლებიც გამოყენებულ იქნა აუდიტის მსვლელობისას, რაც გააუმჯობესებს მომხმარებლების ნდობას, რომ შეიძლება ანგარიშზე დაყრდნობა.

აუდიტის ძირითადი საკითხები (სავალდებულოა საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიებისთვის. შეიძლება აისახოს არარეგისტრირებული საწარმოების აუდიტორის ანგარიშშიც) – საჭიროა ყურადღების მისაპყრობად სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა შესახებ მომხმარებლებმა უნდა იცოდნენ, რაც მათ დაეხმარებათ საწარმოს შესწავლაში.

სხვა ინფორმაცია – ამ ნაწილში ახსნილია აუდიტორის პასუხისმგებლობები, წლიურ ანგარიშში მოცემულ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით. აქ აუდიტორი ახსნის, რომ მას არ მოეთხოვება სხვა ინფორმაციის წაკითხვა ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის მსვლელობისას მის მიერ საწარმოს შესახებ მიღებულ ცოდნასთან შესაბამისობის გამოსავლენად. არათანმიმდევრულობის გამოვლენის შემთხვევაში, იგი აღიწერება ამ ნაწილში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე – აუდიტორის ანგარიშის ამ ნაწილში აღწერილია ორგანიზაციაში იმ პირების პასუხისმგებლობები, ვინც პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე. ამ აბზაცის, აუდიტორის პასუხისმგებლობების შესახებ აბზაცთან ერთად, მიზანია ხელმძღვანელობის, ისევე როგორც აუდიტორის, როლის ნათლად აღწერა. მისი მიზანია განსხვავებული მოლოდინის შემცირება.

აუდიტორის პასუხისმგებლობა – აუდიტორის ანგარიშში ნათქვამი უნდა იყოს, რომ აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმაზე, რომელიც ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად და აუდიტორი აუდიტს გეგმავს და ატარებს დასაბუთებული რწმუნების მოსაპოვებლად იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობებს. ამ აბზაცის, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობების შესახებ აბზაცთან ერთად, მიზანია აუდიტორის, ისევე როგორც ხელმძღვანელობის, როლის ნათლად აღწერა. ასევე,

ამ აბზაცის მიზანია იმის ახსნა, რას გულისხმობს აუდიტი და მხოლოდ არსებითი უზუსტობების გათვალისწინება ხდება, ნაცვლად ყველა შეცდომისა.

სხვა საანგარიშგებო პასუხისმგებლობები – თუ აუდიტორი თავის ანგარიშში ეხება ანგარიშგების სხვა პასუხისმგებლობებს, აღნიშნული ამ აბზაცში უნდა აისახოს. ეს მნიშვნელოვანია, როდესაც ადგილობრივი კანონმდებლობით მოითხოვება აღნიშნულ მოთხოვნებზე ანგარიშგება. ნათლად უნდა განისაზღვროს ანგარიშში, რომ ეს გახლავთ არა ასს-ების მოთხოვნა, არამედ დამატებითი მოთხოვნაა.

აუდიტორის ხელმოწერა – აუდიტორის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს. შეიძლება ხელმოწერა გაკეთდეს აუდიტორის პირადი სახელით ან ფირმის სახელით, რაც დამოკიდებულია იურისდიქციაზე, სადაც აუდიტორი მუშაობს. ეს მიანიშნებს, რომელმა ფირმამ ან აუდიტორმა შეასრულა აუდიტორული გარიგება.

აუდიტორის ანგარიშის თარიღი – აუდიტორის ანგარიშში არ უნდა იყოს დათარიღებული იმ თარიღზე ადრე, რომლისთვისაც აუდიტორმა მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტორის ანგარიშის თარიღი მნიშვნელოვანია იმ შემდგომი მოვლენების მოხდენის შემთხვევაში, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტორის როლი განსხვავებულია იმისდა მიხედვით, აუდიტორის ანგარიშში ხელმოწერილი იყო თუ არა იმ დროს, როდესაც შემდგომი მოვლენა მოხდა.

აუდიტორის მისამართი – აუდიტორის ანგარიშში მითითებული უნდა იყოს აუდიტორის მისამართი, სადაც ის ეწევა საქმიანობას. ეს სასარგებლოა იმ შემთხვევისთვის, თუ აქციონერებს დასჭირდებათ აუდიტორთან დაკავშირება.

(ბ) სამი საკითხი

კომპანია Palm Industries Co (Palm)

(i) Palm-ის ერთ-ერთ მომხმარებელს, რომელსაც \$350,000 მართებდა წლის დასასრულს, არ გადაუხდია წლის დასრულების შემდეგ, რადგან ისინი კამათობენ მიღებული საქონლის ხარისხთან დაკავშირებით. დებიტორული დავალიანების ანარიცხი არ შექმნილა ამ ნაშთისთვის. რადგან ეს ნაშთი საკამათოა, არსებობს არასწორი შეფასების რისკი, რადგან დებიტორული დავალიანება ან მისი ნაწილი შეიძლება ზედმეტადაა შეფასებული და არ იქნეს გადახდილი.

\$350,000 დებიტორული დავალიანება შეადგენს ამონაგების 1.2%-ს (0.35/28.2 მლნ.), დებიტორული დავალიანების 6.3%-ს (0.35/5.6 მლნ.) და დაბეგვრამდე მოგების 7.3%-ს (0.35/4.8 მლნ.). ეს არსებითი საკითხია.

(ii) პროცედურები

- განიხილეთ ამ მომხმარებელმა გადაიხადა თუ არა რაიმე ადგილზე აუდიტის სამუშაოს დასრულების შემდეგ;
- ხელმძღვანელობასთან განიხილეთ, ამ მომხმარებელზე მიყიდული საქონლის ხარისხის პრობლემა გადაიჭრა, თუ კამათი ისევ მიმდინარეობს;

- განიხილეთ მომხმარებელთან უახლესი კორესპონდენცია, მომხმარებლის მიერ გადახდის განხორციელების ალბათობის შესაფასებლად.
- (iii) თუ ხელმძღვანელობა უარს იტყვის ამ დებიტორული დავალიანებისათვის ანარიცხის შექმნაზე, საჭირო იქნება აუდიტორის ანგარიშის და აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირება, რადგან დებიტორული დავალიანება ზედმეტადაა შეფასებული.

საჭირო იქნება პირობითი მოსაზრება. მოსაზრების აბზაცში აისახება პირობითი მოსაზრება „გარდა საკითხისა“.

პირობითი მოსაზრების აბზაცში აისახება არსებითი უზუსტობის ახსნა, დებიტორული დავალიანების შეფასებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც მისი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანია Ash Trading Co (Ash)

- (i) Ash-ის აუდიტორად Chestnut & Co დაინიშნა მხოლოდ წლის დასრულების შემდეგ, ამიტომ ვერ დაესწრო წლის დასასრულს ჩატარებულ ინვენტარიზაციას. ამიტომ მათ ვერ შეძლეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სისრულის და არსებობის შესახებ.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება არსებითია, რადგან ის დაბევვრამდე მოგების 21.3%-ს (0.51/2.4 მლნ.), ხოლო ამონაგების 5%-ს (0.51/10.1 მლნ.) შეადგენს; მაშასადამე, საკითხი არსებითია.

(ii) პროცედურები

- განახორციელეთ ინვენტარიზაციის შესახებ შიდა აუდიტის ანგარიშის მიმოხილვა, რათა გამოავლინოთ აღრიცხვის ჩანაწერების შესწორებების დონე და შეაფასოთ ინვენტარიზაციის ჩანაწერებზე დაყრდნობის დასაბუთებულობა;
- შეამოწმეთ საწყობში მარაგის შერჩევითი ერთობლიობა და შეადარეთ მარაგის აღრიცხვის ჩანაწერებს და შემდეგ საწყობში მარაგის ჩანაწერებს, რათა შეაფასოთ Ash-ის მიერ წარმოებული მარაგის აღრიცხვის დასაბუთებულობა.

- (iii) საჭიროა აუდიტორის მიერ აუდიტორის ანგარიშის მოდიფიცირება, რადგან მან ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება მარაგთან დაკავშირებით.

საკითხი არსებითია, მაგრამ არა ყოფლისმომცველი.

მოსაზრების აბზაცი იქნება პირობითი „გარდა საკითხისა“.

მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აიხსნება მარაგთან მიმართებით მტკიცებულების ნაკლებობასთან დაკავშირებული შეზღუდვა.

კომპანია Bullfinch.com (Bullfinch)

- (i) Bullfinch.com-მა, ძირითადად მომხმარებელმა ახლახან აცნობა კომპანიას, რომ მათ ფულად ნაკადებთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ და საპროგნოზო მომავალში ვერ შეძლებენ ვერავითარ გადახდას. ეს ინფორმაცია წლის

დასრულების შემდეგ იქნა მიღებული, მაგრამ მტკიცებულებას იძლევა, წლის დასასრულს დებიტორული დავალიანების ამოღებადობასთან დაკავშირებით. თუ მომხმარებელს წლის დასრულებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ფულადი ნაკადების პრობლემები აქვს, მაშინ ძალიან ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ წლის დასასრულს დებიტორული დავალიანება ამოღებადი იყო 31 ოქტომბრისთვის, ამიტომ ეს მაკორექტირებელი მოვლენაა.

წლის დასასრულს დასაფარი მთლიანი თანხის ოდენობაა \$283,000 და ეს არსებითია, რადგან დაბეგვრამდე მოგების 7.4%-ს (0.283/3.8 მლნ.) და ამონაგების 2.5%-ს (0.283/11.2 მლნ.) შეადგენს.

დებიტორული დავალიანების ნაშთი ზედმეტადაა შეფასებული, ამიტომ დირექტორებმა 20X5 წლის ფინანსური ანგარიშგება უნდა შეასწორონ დებიტორული დავალიანების ნაშთის ჩამოწერით.

(ii) პროცედურები

- საჭიროა ამ მომხმარებელთა კორესპონდენციის მიმოხილვა და გადახდის განხორციელების ალბათობის შეფასება;
- ხელმძღვანელობასთან განიხილეთ, რატომ ფიქრობენ, რომ საჭირო არ არის 20X5 წლის ფინანსური ანგარიშგების შესწორება;
- განიხილეთ წლის დასრულების შემდეგი პერიოდი, რათა ნახოთ ამ მომხმარებლისგან მიღებულ იქნა თუ არა რაიმე გადახდა.

(iii) თუ ხელმძღვანელობა უარს იტყვის ამ დებიტორული დავალიანების ანა-რიცხვის შექმნაზე, საჭირო იქნება აუდიტორის ანგარიშის და მოსაზრების მოდიფიცირება, რადგან დებიტორული დავალიანება ზედმეტადაა შეფასებული.

საკითხი არსებითია, მაგრამ არა ყოფლისმომცველი.

მოსაზრების აბზაცი იქნება პირობითი „გარდა საკითხისა“.

პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აისახება დებიტორული დავალიანების შეფასებასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობის ახსნა და მისი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.